ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართული ლიტერატურა / Georgian Literature

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESTC. სამაგისტრო პროგრამაში 120 ESTC კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 30 ESTC კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 30 ESTC კრედიტი ეთმობა არჩევითი მოდულისთვის სავალდებულო სასწავლო კურსებს, 30 ESTC კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს, 30 ESTC კრედიტი განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება, მათ შორის პროგრამის ძირითადი 60 ECTS კრედიტის შესრულება და უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა / ან გამოცდის ჩაბარება.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საწყისი საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და სურთ თავიანთი ცოდნის გაღრმავება ქართულ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში. პროგრამის მიზანია ამ პროფილის ფილოლოგების მომზადება. ქართული ლიტერატურის კომბინირებული სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს:
მოამზადოს მაგისტრები ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ზეპირსიტყვიერების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის;

- გამოუმუშაოს მაგისტრანტებს მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის კულტურა;
- გააღრმაოს მაგისტრანტების ცოდნა ტექსტის სტრუქტურულ, სტილისტურ, ტიპოლოგიურ და კომპოზიციურ სტრუქტურებთან მიმართებაში;
- საფუძვლიანად გაარკვიოს მაგისტრანტები კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების სტრუქტურაში და გამოუმუშაოს ანალიზის განსხვავებული ხერხებით ოპერირების პროფესიული უნარი;
- განუვითაროს მაგისტრანტებს ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული წერის (კრიტიკული სტატია, პუბლიცისტური გამოკვლევა, ესსე) შესაძლებლობები, დაუხვეწოს ანალიზის, ინტერპრეტაციისა და დამუკიდებელი კვლევის წარმოების უნარ-ჩვევები;
- მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევებისადმი;

- სამაგისტრო პროგრამაში შემავალი ცალკეული მოდულების შესაბამისად, გაუღრმაოს ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული ზეპირსიტყვიერების კონკრეტული საკითხების კვალიფიციური ცოდნა.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. ქართველოლოგია, როგორც კომპლექსური დარგი და ქართული ლიტერატურა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება, რომლებშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს უკავია წამყვანი პოზიცია რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მის დარგებში/ქვედარგებში, მიმართულებათშორის დარგებში რეგიონმცოდნეობითი პროფილით (აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია); ან დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სწავლის შედეგები:

<u>I. ცოდნა და გაცნობიერება</u>

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი ფლობს ღრმა ცოდნას შემდეგ სფეროებში: ძველი, მე-19 საუკუნისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ზეპირსიტყვიერება. სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტს შეუძლია ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერულ დისციპლინათა სპეციფიკისა და გამოყენებითი მნიშვნელობის შეფასება, ქართული ლიტერატურის გააზრება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. მაგისტრანტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც შესაძლებლობას უქმნის ცალკეული პრობლემის განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებისათვის, ასევე ახალი იდეების განხორციელებისათვის.

- *ძველი ქართული ლიტერატურის მოდულის* არჩევის შემთხვევაში მაგისტრანტს მიღებული აქვს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრესი სფეროების ღრმა და სისტემური ცოდნა; ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების საფუძვლიანი ცოდნა; მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის საკითხების კრიტიკულად შეფასების უნარი; უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკის გაშუქების უნარი; ძველი ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონტექსტში, უპირატესად მედიევალური ლიტერატურის სივრცეში, გააზრების უნარი.

- ***ახალი ქართული ლიტერატურის მოდულის*** არჩევის შემთხვევაში მაგისტრანტს მეტი სისრულითა და სიღრმით აქვს მიწოდებული ცოდნა იმ პრობლემატიკის შესახებ, რომლებიც მე-19 ს. ქართული მწერლობისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლისას იჩენს თავს. მაგისტრანტს აქვს სისტემური ცოდნა ქართული ლიტერატურის საზღვრებისა და პერიოდიზაციის შესახებ – რა აკავშირებს და რა თვისობრივი თავისებურებები გამოარჩევს ახალ ქართულ მწერლობას ძველი ქართული ლიტერატურიდან, მე-19 ს. მწერლობის რომელ ტრადიციებს ეყრდნობა უახლესი ქართული მწერლობა. მაგისტრანტს შეუძლია ანალიზი იმ ლიტერატურულ მიმართულებათა თავისებურებებისა, რომლებმაც თავი იჩინეს მე-19 ს. ქართულ მწერლობაში (რომანტიზმი, რეალიზმი, კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, ნატურალიზმის, სიმბოლიზმის არსებობის საკითხი მე-19 ს. ქართულ მწერლობაში).

- ***უახლესი ქართული ლიტერატურის მოდულის*** არჩევისას მაგისტრანტი მნიშვნელოვან ცოდნას ფლობს მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის, მხატვრული ნაწარმოების ანალიზისა და შეფასების თვალსაზრისით. მას გამოწვლივით აქვს შესწავლილი ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს მონაკვეთი, გაანალიზებული აქვს თანამედროვე ლიტერატურული პროცესი და მხატვრული ნააზრევი. მაგისტრანტს აქვს სიღრმისეული ცოდნა ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული პრობლემატიკისა და იცნობს აქამდე ნაკლებად შესწავლილ საკითხებს; შეუძლია ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება შესაბამისი პრინციპებითა და კრიტერიუმებით.

- ***ზეპირსიტყვიერების მოდულის*** არჩევისას მაგისტრანტს შესწავლილი აქვს ფოლკლორის თეორიის ძირითადი საკითხები (ტრადიცია, ჟანრების წარმოშობა, იმპროვიზაცია, სინკრეტიზმი, კონტამინაცია, ვარიანტულობა, დრო და სივრცე); შეუძლია ფოლკლორული ტექსტის მეცნიერული ანალიზი შედარებით-ისტორიულ, ტიპოლოგიურ, სტრუქტურალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებზე დაყრდნობით; იცნობს ხალხური ეპოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ძირითად ასპექტებს. არჩევითი კურსები შესწავლისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შედეგად სტუდენტს შეუძლია იმუშაოს ისეთ კომპლექსურ პრობლემებზე, როგორიცაა ლიტერატურული ეპოსის წარმოშობა, ფოლკლორულ და ლიტერატურულ ეპიკურ ძეგლთა ურთიერთმიმართება, ფოლკლორულ და ლიტერატურულ ჟანრთა კლასიფიკაცია და ურთიერთმიმართება და სხვ.

1.1	ძველი, მე-19 საუკუნისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და მისი შესწავლის ისტორიის ღრმა ცოდნა	**ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში** (სავალდებულო), **შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“** (სავალდებულო), **XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა და თემატიკა** (სავალდებულო), **თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი** (სავალდებულო)

1.2	ქართული ლიტერატურის გააზრება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში	**ქართული ლიტერატურის ტიპოლოგია** (სავალდებულო)
1.3	ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერულ დისციპლინათა სპეციფიკისა და გამოყენებითი მნიშვნელობის შეფასება	**XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები** (MA პროგრამიდან „ლიტერატურის თეორია“) - სავალდებულო, **ქართული ლექსის პოეტიკა** (MA პროგრამიდან „ლიტერატურის თეორია“) - სავალდებულო, **XX საუკუნის ქართული პოეზია და ევროპული ლიტერატურული სკოლები** (მოდულისთვის სავალდებულო)
1.4	ფოლკლორულ და ლიტერატურულ ეპიკურ ძეგლთა ტიპოლოგიური ურთიერთმიმართება	**ხალხური ეპოსის ტიპოლოგია** (სავალდებულო), **მითის პოეტიკა** (არჩევითი)
1.5	***ძველი ქართული ლიტერატურის მოდულის*** არჩევის შემთხვევაში მაგისტრანტს მიღებული აქვს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრესი სფეროების ღრმა და სის-ტემური ცოდნა; ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების საფუძვლიანი ცოდნა; მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის საკითხების კრიტიკულად შეფასების უნარი; უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკის გაშუქების უნარი; ძველი ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონტექსტში, უპირატესად მედიევალური	**ადამიანის პრობლემა ქართულ ჰაგიოგრაფიაში** (მოდულისთვის სავალდებულო), **XVII-XVIII ს.ს. ლიტერატურული მიმდინარეობები და დ. გურამიშვილი** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართული ლიტურგიკული მწერლობა** (მოდულისთვის სავალდებულო), **ჰომეროსი და რუსთველი** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართული კულტურა და ლიტერატურული სახისმეტყველება** (არჩევითი), **ჰაგიოგრაფია და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა** (არჩევითი), **ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია** (არჩევითი), **ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურის ურთიერთმიმართება** (არჩევითი), **ქართული ჰიმნოგრაფია** (არჩევითი), **„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია** (არჩევითი)

	ლიტერატურის სივრცეში, გააზრების უნარი.	
1.6	***ახალი ქართული ლიტერატურის მოდულის*** არჩევის შემთხვევაში მაგისტრანტს მეტი სისრულითა და სიღრმით აქვს მიწოდებული ცოდნა იმ პრობლემატიკის შესახებ, რომლებიც მე-19 ს. ქართული მწერლობისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლისას იჩენს თავს. მაგისტრანტს აქვს სისტემური ცოდნა ქართული ლიტერატურის საზღვრებისა და პერიოდიზაციის შესახებ – რა აკავშირებს და რა თვისობრივი თავისებურებები გამოარჩევს ახალ ქართულ მწერლობას ძველი ქართული ლიტერატურიდან, მე-19 ს. მწერლობის რომელ ტრადიციებს ეყრდნობა უახლესი ქართული მწერლობა. მაგისტრანტს შეუძლია ანალიზი იმ ლიტერატურულ მიმართულებათა თავისებურებებისა, რომლებმაც თავი იჩინეს მე-19 ს. ქართულ მწერლობაში (რომანტიზმი, რეალიზმი, კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, ნატურალიზმის, სიმბოლიზმის არსებობის საკითხი მე-19 ს. ქართულ მწერლობაში).	**ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები** (მოდულისთვის სავალდებულო), **რელიგიურ-თეოლოგიური ნაკადი XIX ს. ქართულ მწერლობაში** (მოდულისთვის სავალდებულო), **აკაკისმცოდნეობა** (მოდულისთვის სავალდებულო), **ილიასმცოდნეობა** (მოდულისთვის სავალდებულო), **ვაჟასმცოდნეობა** (არჩევითი), **XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პროზის პრობლემები** (არჩევითი)
1.7	***უახლესი ქართული ლიტერატურის მოდულის*** არჩევისას მაგისტრანტი მნიშვნელოვან ცოდნას ფლობს მე-20	**მოდერნიზმი ქართულ ლიტერატურაში** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში**

	საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის, მხატვრული ნაწარმოების ანალიზისა და შეფასების თვალსაზრისით. მას გამოწვლივით აქვს შესწავლილი ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს მონაკვეთი, გაანალიზებული აქვს თანამედროვე ლიტერატურული პროცესი და მხატვრული ნააზრევი. მაგისტრანტს აქვს სიღრმისეული ცოდნა ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული პრობლემატიკისა და იცნობს აქამდე ნაკლებად შესწავლილ საკითხებს; შეუძლია ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება შესაბამისი პრინციპებითა და კრიტერიუმებით.	(მოდულისთვის სავალდებულო), **XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა – კულტურათა გზაჯვარედინი** (მოდულისთვის სავალდებულო), **გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა** (არჩევითი), **თანამედროვე ქართული დრამატურგია** (არჩევითი), **ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები და თანამედროვე ქართული მწერლობა** (არჩევითი)
1.8	***ზეპირსიტყვიერების მოდულის*** არჩევისას მაგისტრანტს შესწავლილი აქვს ფოლკლორის თეორიის ძირითადი საკითხები (ტრადიცია, ჟანრების წარმოშობა, იმპროვიზაცია, სინკრეტიზმი, კონტამინაცია, ვარიანტულობა, დრო და სივრცე); შეუძლია ფოლკლორული ტექსტის მეცნიერული ანალიზი შედარებით-ისტორიულ, ტიპოლოგიურ, სტრუქტურალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებზე დაყრდნობით; იცნობს ხალხური ეპოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ძირითად ასპექტებს.	**თანამედროვე თეორიები მითოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში** (მოდულისთვის სავალდებულო), **ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ფოლკლორში** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია** (მოდულისთვის სავალდებულო), **ზღაპრის მორფოლოგია** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობანი** (არჩევითი), **ხალხური დრამა** (არჩევითი), **ამირანოლოგია** (არჩევითი)
1.9	მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული	**უცხოური ენა** (ინგლისური/ გერმანული

	ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	/ფრანგული)1,2

II. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნით, კვალიფიკაციით, კომპეტენციებითა და მეცნიერული კვლევის უნარით კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა, შექმნას მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე თეორიული ნაშრომი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ფოლკლორის სფეროებში მისთვის საინტერესო და აქტუალურ პრობლემაზე. ფილოლოგიის მაგისტრს თავისი სპეციალობით შეუძლია ზოგადად ფილოლოგიისა და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება ლიტერატურათმცოდნეობის და ფოლკლორისტიკის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ლიტერატურული და ზეპირსიტყვიერი ტექსტების დამუშავება; კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნისა და უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ფოლკლორული პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ლიტერატურული ნაწარმოების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია რომელიმე ევროპული ენის პრაქტიკული გამოყენება სამეცნიერო წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.

2.1	ზოგადად ფილოლოგიისა და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით	**ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში** (სავალდებულო), **შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“** (სავალდებულო), **XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა და თემატიკა** (სავალდებულო), **თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი** (სავალდებულო), **ქართული ლიტერატურის ტიპოლოგია**

		(სავალდებულო),**XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები** (MA პროგრამიდან „ლიტერატურის თეორია“) - სავალდებულო, **ქართული ლექსის პოეტიკა** (MA პროგრამიდან „ლიტერატურის თეორია“) - სავალდებულო, **ხალხური ეპოსის ტიპოლოგია** (სავალდებულო)
2.2	სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტის ანალიზი	**ქართული ლიტურგიკული მწერლობა** (მოდულისთვის სავალდებულო), **ჰომეროსი და რუსთველი** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართული კულტურა და ლიტერატურული სახისმეტყველება** (არჩევითი), **ჰაგიოგრაფია და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა** (არჩევითი),**ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები** (მოდულისთვის სავალდებულო), **რელიგიურ-თეოლოგიური ნაკადი XIX ს. ქართულ მწერლობაში** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში** (მოდულისთვის სავალდებულო), **გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა** (არჩევითი), **თანამედროვე ქართული დრამატურგია** (არჩევითი), **ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ფოლკლორში** (მოდულისთვის სავალდებულო), **ზღაპრის მორფოლოგია** (მოდულისთვის სავალდებულო), **ხალხური დრამა** (არჩევითი), **ამირანოლოგია** (არჩევითი)
2.3	ლინგვისტური, ლიტერატურული და ფოლკლორული პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოების განზოგადებისა და ისტორიულ	**ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურის ურთიერთმიმართება** (არჩევითი), **XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პროზის პრობლემები** (არჩევითი), **აკაკისმცოდნეობა** (მოდულისთვის სავალდებულო), **ილიასმცოდნეობა** (მოდულისთვის სავალდებულო), **ვაჟასმცოდნეობა** (არჩევითი),

	კონტექსტში განხილვის უნარი.	**მოდერნიზმი ქართულ ლიტერატურაში** (მოდულისთვის სავალდებულო), **XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა – კულტურათა გზაჯვარედინი** (მოდულისთვის სავალდებულო), **ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები და თანამედროვე ქართული მწერლობა** (არჩევითი), **თანამედროვე თეორიები მითოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია** (მოდულისთვის სავალდებულო), **ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობანი** (არჩევითი)
2.6	მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში	**უცხოური ენა** (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) 1,2

III. დასკვნის უნარი

ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტების კომპარატივისტული კვლევა, კვლევის ამოცანების ფორმულირება, ახალი მეთოდების თეორიულად ათვისება და პრაქტიკულად გამოყენება დამოუკიდებელი კვლევისას. მაგისტრი

სრულყოფილად ფლობს თანამედროვე ლიტერატურული და თეორიული კვლევისათვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს და შეუძლია ამ აპარატით ოპერირება დამოუკიდებელი კვლევის პროცესში.
ფილოლოგიის მაგისტრს გამომუშავებული აქვს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებების კრიტიკული და შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ჩვევა; შეუძლია უახლესი კვლევების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეუძლია ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემური საკითხების ინოვაციური ხედვა.

IV. კომუნიკაციის უნარი

პრაქტიკული მუშაობის, მოცემულ საკითხებზე ესეს შექმნისა და პრეზენტაციების მეშვეობით მაგისტრს გამომუშავებული აქვს სპეციალისტებთან, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე თავისი დასკვნების, დასაბუთებების ჩამოყალიბების უნარი; შეუძლია საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით წარმოადგინოს თავისი დებულებები სპეციალისტთა თუ დაინტერესებულ პირთა წრეში როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე.

V. სწავლის უნარი

მაგისტრანტს შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს სწავლის პროცესი; გააცნობიეროს თითოეული სასწავლო კურსის თავისებურება და სტრატეგიულად დაგეგმოს სწავლის პროცესი მაღალი დონის მიღწევისთვის. მაგისტრანტს შეუძლია კონკრეტულ საკითხზე ლიტერატურის მოძიება და საკუთარი სამეცნიერო ინტერესების სფეროში საჭირო ადგილის განსაზღვრა.

VI. ღირებულებები

- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების როლის განსაზღვრა როგორც ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობაში, ისე მსოფლიოს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესსა და კულტურაში; ქართული ლიტერატურის შესწავლის მნიშვნელობა ქრისტიანული ანთროპოლოგიის საკითხების კვლევაში; კონკრეტული ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოების მხატვრული და მეცნიერული ღირებულებების შეფასება, კვლევის გაგრძელების შემთხვევაში კი ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში მონაწილეობა.
- გაცნობიერებული აქვს ერისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა, გარდა ამისა, ის ზრუნავს ენის სიწმინდის დაცვისათვის.
- ეთიკური თუ ზნეობრივი ღირებულებების გაცნობიერებით მაგისტრს აქვს უნარი კულტურული მრავალფეროვნების, პიროვნულ განსხვავებათა პატივისცემისა და დაფასებისა, ინტერპერსონალური და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვისა, გათავისებული აქვს აკადემიური პატიოსნების სტანდარტები.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი გამოცდის და სხვ.

ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს როგორც მკვლევარსა და ლექტორს მუშაობა შეეძლება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში;
- საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში, მუზეუმებში;
- საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- პერიოდულ გამოცემათა რედაქციებში;
- რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად;
- ტურისტულ ფირმებში ექსკურსიამძღოლებად და გიდებად.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე

მოდულების ხელმძღვანელები: ე. ხინთიბიძე, ლ. მინაშვილი, კ. ლორია, თ. ქურდოვანიძე

დამატებითი ინფორმაცია: სამაგისტრო პროგრამაში „ქართული ლიტერატურა“ მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 15 სტუდენტს.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა სხვადასხვა თემატიკაზე: ძველი ქართული ლიტერატურა, ახალი ქართული ლიტერატურა, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ქართული ზეპირსიტყვიერება.
მაგისტრანტი ჩართულია ქართული ლიტერატურის მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობაში, აქტიურ მონაწილეობას იღებს ინსტიტუტში არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობაში და შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:
სრული პროფესორები: ე. ხინთიბიძე, ი. რატიანი, კ. ლორია
ასოცირებული პროფესორები: მ. ელბაქიძე, ლ. ხაჩიძე, ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა, ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, თ. შარაბიძე, თ. პაიჭაძე, რ. ნიშნიანიძე, რ. ბურჯანაძე, თ. ქურდოვანიძე, ქ. სიხარულიძე.

ასისტენტ-პროფესორები: დ. წოწკოლაური, ე. გოგიაშვილი.
მოწვეული პროფესორები: გრ. ფარულავა, რ. სირაძე, ხ. ზარიძე, ზ. ხინთიბიძე, დ. მენაბდე,ლ. გრიგოლაშვილი, ე. კალანდარიშვილი, თ. ბარბაქაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური.

ყველა პროფესორის კომპეტენცია შეესაბამება მათ მიერ წაკითხულ კურსებს. მოწვეული არიან ცნობილი სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული შრომები და უწყვეტი პრაქტიკული გამოცდილება სასწავლო პროცესში. სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი კურსები, რომლებსაც მოწვეული სპეციალისტები კითხულობენ, სპეციფიკურია და დამყარებულია თითოეული მათგანის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო მუშაობაზე.

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით; იხ. დანართი № 3

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:
ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო-კვლევით ბაზას წარმოადგენს: თსუ რუსთაველის კაბინეტი, თსუ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი (თავისი ბიბლიოთეკებითა და ტექნიკით), თსუ ფოლკლორული არქივი, ჰუმანიტარულ ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლიტერატურული არქივი და ფოლკლორული არქივი).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
მიმართულება: **ქართული ფილოლოგია**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ქართული ლიტერატურა**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე**
მოდულების ხელმძღვანელები: **ე. ხინთიბიძე, ლ. მინაშვილი, კ. ლორია, თ. ქურდოვანიძე**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**(უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / მოდულები – 30 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი / ჯგუფი / პრაქტიკუმ**	**ლექცია–პრაქტიკუმების თვის**	**შუალედური გამოცდის/გამოც**	**დასკვნითი გამოცდის**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში	5	30	30	44	8	9	4	წინაპირობის გარეშე	I		ე. ხინთიბიძე, ნ. გონჯილაშვილი
	შუასაუკუნეობრივი და რენესანსული «ვეფხისტყაოსანში»	5	30	30	44	8	9	4	წინაპირობის გარეშე		II	ე. ხინთიბიძე
	XIX საუკუნის ქართული	5	30	30	44	8	9	4	წინაპირობის გარეშე		II	ლ. მინაშვილი

	ლიტერატურის პრობლემატიკა და თემატიკა											
	თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი	5	30	30	44	8	9	4	წინაპირობის გარეშე	III		კ. ლორია
	ქართული ლიტერატურის ტიპოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		რ. სირაძე
	ხალხური ეპოსის ტიპოლოგია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. ქურდოვანიძე
არჩევითი მოდულები – 30 კრედიტი (ECTS)												
I მოდული: ძველი ქართული ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	ჰომეროსი და რუსთველი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ზ. ხინთიბიძე
	ადამიანის პრობლემა ქართულ ჰაგიოგრაფიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		გ. ფარულავა
	ქართული ლიტურგიკული მწერლობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. ხაჩიძე
	XVII-XVIII ს.ს. ლიტერატურული მიმდინარეობები და დ. გურამიშვილი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნ. სულავა
	ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		დ. მენაბდე
	ქართული კულტურა და ლიტერატურული სახისმეტყველება	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	რ. სირაძე
II მოდული: ახალი ქართული ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ი. ევგენიძე
	აკაკისმცოდნეობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ი. ევგენიძე
	რელიგიურ-თეოლოგიური ნაკადი XIX ს. ქართულ მწერლობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	თ. შარაბიძე
	ილიასმცოდნეობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. მინაშვილი
	ვაჟასმცოდნეობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ი. ევგენიძე

	XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პროზის პრობლემები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ი. ევგენიძე
III მოდული: უახლესი ქართული ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	XX საუკუნის ქართული პოეზია და ევროპული ლიტერატურული სკოლები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. პაიჭაძე
	მოდერნიზმი ქართულ ლიტერატურაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		თ. პაიჭაძე, კ. ლორია
	XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა – კულტურათა გზაჯვარედინი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	რ. ნიშნიანიძე
	ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		კ. ლორია, თ. პაიჭაძე
	თანამედროვე ქართული პროზა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	კ. ლორია,თ. პაიჭაძე
	ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები და თანამედროვე ქართული მწერლობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		რ. ბურჯანაძე
IV მოდული: ქართული ზეპირსიტყვიერება სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია	**5**	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. ქურდოვანიძე, ე. გოგიაშვილი
	ზღაპრის მორფოლოგია (ზღაპარმცოდნეობა)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	თ. ქურდოვანიძე
	ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობანი	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ქ. სიხარულიძე
	თანამედროვე თეორიები მითოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		თ. ქურდოვანიძე
	მითის პოეტიკა	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ქ. სიხარულიძე, ე. გოგიაშვილი

	ამირანოლოგია	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ქ. სიხარულიძე
არჩევითი სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS) თითოეული მოდულისათვის												
	ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურის ურთიერთმიმართება	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		გ. ფარულავა
	XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები *(MA პროგრამიდან ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე)*	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ი. რატიანი
	ჰაგიოგრაფია და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ხ. ზარიძე
	ქართული ჰიმნოგრაფია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. გრიგოლაშვილი
	ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ხ. ზარიძე
	ქართული კრიტიკის ისტორია (XIX ს)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ლ. მინაშილი. თ. შარაბიძე
	ქრისტიანული და მითოსური მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	თ. შარაბიძე ლ. მინაშილი
	თანამედროვე ქართული დრამატურგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		რ. ნიშნიანიძე, რ. ბურჯანაძე, კ. ლორია
	გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		რ. ნიშნიანიძე, თ. პაიჭაძე, კ. ლორია
	ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ფოლკლორში	**5**	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ქ. სიხარულიძე
	ფოლკლორი და ისტორიული სინამდვილე	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. ქურდოვანიძე ე. გოგიაშვილი
	ხალხური დრამა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	თ. ქურდოვანიძე
	ქართული ლექსის პოეტიკა (*MA პროგრამიდან ლიტერატურათმცოდნეობა,*	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. ბარბაქაძე

	ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე)											
	ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ძირითადი პრობლემები	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე		II	ე.ვარდოშვილი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**										

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————

თარიღი ——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი